

## ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№ T - 101202

ერთი მხრივ, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (ს/კ: 412670097) (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის ფინანსურ საკითხებში დავით ჭანტურიას სახით (2020 წლის 24 აგვისტოს N93 ბრძანება - შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ფინანსურ საკითხებში დირექტორის მოადგილე დავით ჭანტურიასთვის შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სახელით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებზე ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“) სახით და მეორე მხრივ, შპს „ლ და კ“ (ს/კ:216441232) (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის კობა ლომიძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე, NAT 200011420 ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონსა და მის საფუძველზე გამოცემულ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

### 2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დაბა ხარაგაულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა (CPV45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები; CPV45232150 - წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები) შესყიდვა;
- 2.2. შესასრულებელი სამუშაოს ზუსტი აღწერა მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში (დანართი №1), პროექტში და სატენდერო დოკუმენტაციაზე თანდართულ სხვა დოკუმენტაციაში, რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **3 916 930, 67 (სამი მილიონ ცხრაასთექვსმეტი ათას ცხრაასოცდაათი ლარი და 67 თეთრი) ლარს**, დღგ-ს გათვალისწინებით;
- 3.2. ხელშეკრულების ზუსტი ღირებულება გამოითვლება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით;
- 3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს (მათ შორის ექსპერტიზის ხარჯებს) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;
- 3.4. ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;
- 3.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების



დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფასის 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

**3.6.** იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ფასის გაზრდა გამოწვეულია სამუშაოთა მოცულობის გაზრდის გამო, გამოყენებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დანართით (ხარჯთაღრიცხვა) გათვალისწინებული ერთეულის ფასები, ხოლო თუ აუცილებელი გახდა ხელშეკრულების დანართით (ხარჯთაღრიცხვა) გაუთვალისწინებელი სამუშაოს დამატების გამო ცვლილების განხორციელება ასეთ შემთხვევაში ერთეულის ფასის დაანგარიშება უნდა განხორციელდეს ცვლილების განხორციელების პერიოდისათვის საბაზრო ფასის მიხედვით.

#### 4. ანგარიშსწორების წესი

**4.1.** ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში;

**4.2.** დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2020-2021 წლების საკუთარი სახსრები;

**4.3.** ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი ეტაპების მიხედვით:

I ეტაპი - ეტაპობრივად, მიმწოდებლისა და შემსყიდველის უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი და ხელმოწერილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა 2), შესრულებითი ნახაზების (ელექტრონული ვერსია) და ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში, შესრულებული სამუშაოს ღირებულების 10%-ის დაკავებით;

II ეტაპი - სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშსწორებისთვის საჭირო სხვა დოკუმენტაციის (ანგარიშფაქტურა, ექსპერტიზის დასკვნა) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5%-ის დაკავებით;

III ეტაპი - შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5%-ის დაკავების შემთხვევაში - დანარჩენი ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5% საგარანტიო ვადის გასვლის შემდგომ მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში (წერილობით მოთხოვნას თან უნდა ახლდეს შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის დასტური მასზე, რომ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოს არ გამოუვლენია დეფექტი ან/და გამოვლენილი დეფექტი სრულად აღმოფხვრილია მიმწოდებლის მიერ);

**4.4.** მიმწოდებლის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი ავანსის სახით გადაუხდის მიმწოდებელს სახელშეკრულებო თანხის არაუმეტეს 20%-ს, იმავე თანხაზე საბანკო გარანტიის (გაცემული საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულების, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის ან საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული საკრედიტო დაწესებულების მიერ, რომელიც უფლებამოსილია გასცეს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო/გამოუთხოვადი საბანკო გარანტია) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში (ავანსის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას).

ავანსის სახით მიღებული თანხის გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ავანსის ჩარიცხვიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში. არამიზნობრივად დახარჯვის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია გამოითხოვს საბანკო გარანტიით განსაზღვრულ თანხას, მიმწოდებლის მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე უფლებამოსილია გამოითხოვოს საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხა.

**შენიშვნა:** საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკრედიტო დაწესებულების ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ვალდებულია ასევე წარმოადგინოს საბანკო გარანტიის გამცემი კომპანიის



ძალაში მყოფი ლიცენზია ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება საბანკო გარანტიის გაცემის უფლებამოსილება - წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს წარმოდგენილი საბანკო გარანტია;

**4.5.** წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, ავანსის პროპორციული დაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, თითოეული სამუშაოს აქტის (ფორმა 2) წარმოდგენის შემდეგ. ამასთან ბოლო შესრულებული სამუშაოს აქტის (ფორმა 2) წარმოდგენის შემდეგ მიმწოდებელს დაექვითება ავანსის თანხის დარჩენილი ნაწილი სრულად;

**4.6.** მიმწოდებლის მიერ წარმოსადგენი ექსპერტიზის დასკვნის ღირებულება გათვალისწინებულია ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებაში;

**4.7.** 4.3 პუნქტის II ეტაპით გათვალისწინებული ანგარიშსწორებისათვის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აღნიშნულ სფეროში აკრედიტებული სხვა საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული დადებითი დასკვნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესახებ, ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესრულებითი ნახაზების ელექტრონული ვერსია SHP ფორმატში, მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად. ასევე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა (მათ შორის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს №388 დადგენილებით დამტკიცებული „მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების წესის“) და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი, მოწყობილი ან/და რეაბილიტირებული ქსელის - ხაზობრივი ნაგებობის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები (ციფრულ და ქაღალდის ვერსიების სახით), სადაც დაინტერესებულ პირად უნდა იქნას მითითებული - შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, მიმწოდებელმა ასევე უნდა წარმოადგინოს ელექტრონული ანგარიშფაქტურა (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში). ხარჯთაღრიცხვაში ასახული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ ასეთი ხარჯების არსებობის შემთხვევაში. გაუთვალისწინებელი ხარჯების არსებობისას მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ასეთი ხარჯების დეტალური გაშიფვრა და დასაბუთება, რომლის საფუძველზეც მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ განხორციელდება შესასრულებელი სამუშაოების განხორციელების დადასტურება;

**4.8.** გაუთვალისწინებელი სამუშაოების გაწევის უფლება მიმწოდებელს ეძლევა შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის თანხმობის შემთხვევაში და 4.7 პუნქტში აღნიშნული წესის თანახმად გაუთვალისწინებელი ხარჯების ხარჯთაღრიცხვაში გაშიფვრის და დასაბუთების შესაბამისად.

## **5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

**5.1.** შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განხორციელონ ტექნიკური კონტროლი სამუშაოების მიმდინარეობაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

**5.2.** ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

5.2.1. სამუშაოს მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

5.2.2. შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის ხელშეკრულების დანართებთან (ხარჯთაღრიცხვა, კალენდარული გრაფიკი, ტექნიკური პირობები, ნახაზები და სპეციფიკაციები) შესაბამისობის დადგენა, შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა (აუცილებლობის შემთხვევაში);

5.2.3. ფარული სამუშაოების კონტროლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მიწოდებული სამუშაოების წინამდებარე ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვასთან (დანართი №1) ურთიერთშედარება და მათ საფუძველზე მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ან



მისი ნაწილის მოცულობისა და ღირებულების დადგენა, ფორმა 2-ების დამოწმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;

5.2.4. ტექნიკური დავალების დანართებით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

5.2.5. მიმწოდებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პროფესიული კომპეტენციის შესაბამისობის დადგენა განსახორციელებელ სამუშაოებთან მიმართებაში;

5.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტის მოწვეული სპეციალისტი უფროსი სავლე ინჟინერი ალექსანდრე პატიეშვილი.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით;

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

5.6. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ეტაპობრივად მოახდინოს ტექნიკური დოკუმენტაციის (სამშენებლო მასალების სერტიფიკატები) შეთანხმება დამკვეთთან.

## 6. სამუშაოს შესრულების პირობები, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

6.1. სამუშაოები შესრულებული უნდა იქნას თანდართული პროექტის (ნახაზების), დანართი №1-ის (ხარჯთაღრიცხვის) და დანართი №2-ის (სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკი) შესაბამისად;

6.2. სამუშაოები შესრულებულ უნდა იქნას წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №2-ის (გეგმა-გრაფიკი) მიხედვით და მათი დასრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 8 (რვა) თვე გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ხოლო ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს სამუშაოების დასრულების დღიდან 30 კალენდარული დღით;

6.3. სამუშაოების მიღება განხორციელდება მიმწოდებლისა და შემსყიდველის უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი და ხელმოწერილი ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა 2) წარმოდგენის საფუძველზე, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტით;

6.4. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა 2) წარმოდგენის შემდგომ აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით;

6.5. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმართოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ან სხვა აკრედიტებულ პირს ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით. (სხვა აკრედიტებული პირის მიერ ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში, მიმწოდებელმა დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს აკრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტი).

ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესრულებითი ნახაზების ელექტრონული ვერსია SHP ფორმატში, სატენდერო დოკუმენტაციაზე თანდართული ინსტრუქციის შესაბამისად;

6.6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს და ფაქტობრივად



შესრულებული სამუშაოების აქტს (ფორმა 2) ხელს მოაწერს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტის მოწვეული სპეციალისტი უფროსი სავლე ინჟინერი ალექსანდრე პატიეშვილი.

## 7. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

7.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სს „პროკრედიტ ბანკის“ მიერ 2020 წლის 06 ოქტომბერს გაცემული უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, თანხით 97 924, 00 (ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაასოცდაოთხი) ლარი, მოქმედი 2021 წლის 13 სექტემბერს ჩათვლით;

7.2. საბანკო გარანტია გამოიყენება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების ან/და მიმწოდებლის ქმედებით შემსყიდველისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით;

7.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაბრუნება.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

8.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სამუშაოების შესრულება გეგმა-გრაფიკში განსაზღვრული ვადების დაცვით;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო სტანდარტების შესაბამისად;

გ) სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმართოს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ან სხვა აკრედიტებულ პირს ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით. (სხვა აკრედიტებული პირის მიერ ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში, მიმწოდებელმა დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს აკრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტი). ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესრულებითი ნახაზების ელექტრონული ვერსია SHP ფორმატში, სატენდერო დოკუმენტაციაზე თანდართული ინსტრუქციის შესაბამისად;

დ) სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით გამოცემული ზოგადი რეკომენდაციების დაცვა, აღნიშნული რეკომენდაციების მოქმედების პერიოდში.

## 9. საგარანტიო პირობები

9.1. მიმწოდებლის მხრიდან მის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელი საგარანტიო ვადა;

9.2. საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების/დაზიანებების აღმოფხვრა;

9.3. შემსყიდველის მიერ დაკავებული თანხა (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5% - შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5%-ის დაკავების



შემთხვევაში) წარმოადგენს მიმწოდებლის მხრიდან შესრულებული სამუშაოების გარანტიის ფინანსურ უზრუნველყოფას;

**9.4.** შემსყიდველი უფლებამოსილია არ დაუკაოს მიმწოდებელს აღნიშნული 2,5% იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი საბოლოო ანგარიშსწორების დროს წარმოადგენს დასაკავებელი თანხის ოდენობის საბანკო გარანტიას (გაცემულს საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულების, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის ან საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული საკრედიტო დაწესებულების მიერ), გარანტია უნდა იყოს უპირობო, გამოუხმობადი და შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემისგან, პირველივე მოთხოვნისთანავე, მიიღოს შესაბამისი თანხა. გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის დაბრუნების ვადას არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით;

**9.4.** თუ მიმწოდებელი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში უარს განაცხადებს საგარანტიო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ამ ხელშეკრულების 4.3 პუნქტის III-ეტაპით გათვალისწინებული თანხის გადახდაზე (შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2.5%-ის დაკავების შემთხვევაში).

## **10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, არაჯეროვანი ან/და არასრული შესრულება**

**10.1.** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების, მათ შორის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

**10.2.** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრული ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტის ოდენობით;

**10.3.** იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

**10.4.** პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

**10.5.** ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება მიმწოდებელს სამუშაოს ღირებულებიდან; იმ შემთხვევაში თუ სამუშაოს შესრულება არ არის განხორციელებული, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შემსყიდველის სასარგებლოდ; ხოლო იმ შემთხვევაში თუ სამუშაოს ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გადაიხადოს საჯარიმო თანხებსა და სამუშაოს ღირებულებას შორის არსებული სხვაობა შემსყიდველის სასარგებლოდ.

## **11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

**11.1.** ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

**11.2.** მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების



შეწყვეტის შესახებ; შემსყიდველს ასევე შეუძლია ცალმხრივად მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტოს ხელშეკრულება:

- ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;
- ბ) თუ პროექტის განხორციელება ეკონომიკურად არაეფექტური გახდა შემსყიდველისთვის;
- გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
- დ) მიმწოდებელი აჩერებს სამუშაოთა წარმოებას 10 (ათი) დღეზე უფრო ხანგრძლივი დროით, მაშინ როდესაც ეს შეჩერება არ იყო ნებადართული შემსყიდველის მიერ;
- ე) სამუშაოთა ზედამხედველი განახორციელებს შეტყობინებას, რომ რომელიმე დეფექტის აღმოუფხვრელობა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას და მიმწოდებელმა ვერ შეძლო ამ დეფექტის გასწორება ზედამხედველის მიერ დასაბუთებულად დადგენილი დროის განმავლობაში;
- ვ) საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი არ წარმოადგენს საჭირო გარანტიებს;
- ზ) შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება სამშენებლო სტანდარტებს;
- თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**11.3.** ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

**11.4.** ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 12. ფორს-მაჟორი

**12.1.** ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

**12.2.** ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებთან და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

**12.3.** ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მიმწოდებელმა 3 (სამი) დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

**12.4.** მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 13. დავები და მათი გადასინჯვის წესი

**13.1.** ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით;

**13.2.** შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

**14.1.** ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021

წლის 13 აგვისტოს ჩათვლით გარდა ხელშეკრულების მე-9 მუხლისა;

14.2. ხელშეკრულების მე-9 მუხლი ძალაშია მთელი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

### 15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელმოწერილია შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;

15.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია/დამოწმებულია მხარეთა მიერ.

### 16. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

შპს „საქართველოს გაერთიანებული  
წყალმომარაგების კომპანია“  
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას  
გამზ. N76 „ბ“  
ტელეფონი: +995 32 2919060  
მომსახურე ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი“  
ცენტრალური ფილიალი  
მომსახურე ბანკის კოდი: 220101480, LBRTGE22  
ანგარიშის ნომერი: GE77LB0113123325230012  
საიდენტიფიკაციო კოდი: 412670097

„მიმწოდებელი“

შპს „ლ და კ“  
იურიდიული მისამართი: ქ. რუსთავი  
მეგობრობის გამზირი 43/48  
ტელეფონი: +99599584742  
მომსახურე ბანკი:  
მომსახურე ბანკის კოდი: MIBGGE22  
ანგარიშის ნომერი: GE98PC0133600100067335  
საიდენტიფიკაციო კოდი: 216441232  
ელ-ფოსტა: d.kaplich@gmail.com

დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში

დავით ჯანტურია

დირექტორი

კობა ლომიძე



სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი (თვეების მიხედვით)

დაბა ხარაგაულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-შენიშვების მოწყობის სამუშაოების პროექტი

№	სახარჯთ- ადრიცხვო განგარიშების №	სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	სამუშაოს განსახორციელებად საჭირო დრო (თვე)	სამუშაოების შესრულების ვადა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 თვე									
				1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	7 თვე	8 თვე	9 თვე	
1	ხარჯ №1	წყალსადენის მანქანების მოწყობა	8										ექსპერტის ფაქტობრივი
2	ხარჯ №2	რეზერვუარის მოწყობა	4										
3	ხარჯ №3	ჭაბურღილის ბურღვის და მოწყობის სამუშაოები (3 ცალი)	3										
4	ხარჯ №4	შემკრები ჰის და სატუმბო საღებურის მოწყობა	4										
5	ხარჯ №5	ლელვანის წყალმიმღებ ნაბეზობაზე საქლორატორის შენობის მოწყობა ტექნოლოგიით	3										
6	ხარჯ №6	წყალსადენის ქსელის მოწყობა	4										

შპს „ლ და კ“ დირექტორი კობა ლომიძე



დაბა ხარაგაულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის  
მოწყობის სამუშაოების პროექტი

კ რ ე ბ ს ი თ ი    ხ ა რ ჯ თ ა ლ რ ი ც ხ ვ ა

	ხარჯთაღრ იციხვის	ხარჯთაღრიციხვის დასახელება	სულ
1	2	3	4
1		სულ	3,220,420.17
		<b>ჯამი:</b>	<b>3,220,420.17</b>
		ბაშთვალისწინეპელი ხარჯები 3%	96,612.61
		<b>ჯამი</b>	<b>3,317,032.77</b>
		სს"ენერგოპროჯექტის" მიერთემა მოთხოვნილი სიმძლავრე 2ადბ	2,400.00
		<b>ჯამი</b>	<b>3,319,432.77</b>
		დ. ღ. ბ. - 18%	597,497.90
		<b>ჯამი სულ</b>	<b>3,916,930.67</b>

შპს „ლ და კ“ დირექტორი კობა ლომიძე



**დაბა ხარაგაულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-  
მშენებლობის მოწყობის სამუშაოების პროექტი**

**ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა**

№	სახარჯთ- ალრიცხვო ბაანბარითშეშის №	სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	ჯამი
1	2	3	4
1	<b>ხარჯ №1</b>	წყალსადენის მაგისტრალის მოწყობა	1,905,723.89
2	<b>ხარჯ №2</b>	რეზერუარის მოწყობა	416,611.23
3	<b>ხარჯ №3</b>	ჭაბურღილის ბურღვის და მოწყობის სამუშაოები (3 ცალი)	412,595.93
4	<b>ხარჯ №4</b>	შემკრები ჰის და სატუმბი საღბურის მოწყობა	147,320.30
5	<b>ხარჯ №5</b>	ლეღვანის წყალმიმღებ ნაბეობაზე საქლორატორის შენობის მოწყობა ტექნოლოგიით	58,437.54
6	<b>ხარჯ №6</b>	წყალსადენის ქსელის მოწყობა	279,731.27
		<b>სულ</b>	<b>3,220,420.17</b>

შპს „ლ და კ“ დირექტორი კობა ლომიძე



დაბა ხარაგაულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-შენეზღობის მოწყობის სამუშაოების პროექტი

წყალსადენის მარტინის მოწყობა

საპროექტო მუშაო №1

№	სამუშაოს დასახელება	ბანხ. მრთ.	რაოდენობა	ჯამი		
				მრთ.ჯამი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	
<b>მარტინის მოწყობის სამუშაოები</b>						
1	სსვალტობეტონის საფარის დემონტაჟი	100	83	2.20	100.00	220.24
2	ნებისმიერი ტიპის ბრუნვითი, ნებისმიერ სიღრმეზე, თხრილების და ქვაბულების გათხრა და გამკვრივება, ასევე ბრუნვის ხელით დამუშავება და პროფილიზი ნიშნულების მოყვანა, საჭიროების შემთხვევაში განაგრძება და ბრუნვის წყლის მოშორება	83		8846.26	4.00	35,385.04
3	წივითი ბრუნვის და სსვალტის ნარჩენების დატვირთვა და ბატანა ტერიტორიიდან, შემკვრივებელი მოცულობით	83		7644.90	0.50	3,822.45
4	ლორის შექმნა, მოტანა, უპრეზერვატორული დატანვით, სისძიო 20 სმ. სსვალტის ქვეშ და მოხრევილ გზაზე	100	83	4.40	1,200.00	5,285.76
5	სსვალტობეტონის საფარის მოწყობა სისძიო 60 მმ მსხვილმარცვლოვანი	1000	82	2.20	2,000.00	4,404.80
6	სსვალტობეტონის საფარის მოწყობა სისძიო 40 მმ წვრილმარცვლოვანი	1000	82	2.20	2,200.00	4,845.28
7	ქვიშის უპრეზერვატორული დატანვით, კოლიმეტირების მიღების ქვეშ 10 სმ, ზემოდა 20 სმ.	83		698.40	1.00	698.40
8	აღვიწროვანი გახვრევილები ბრუნვის უპრეზერვატორული დატანვით ფოლადის მილის ქვეშ 10 სმ	83		1407.33	1.00	1,407.33
9	ტრანშეის შექმნა ბალანსით, დატანვით	83		5956.62	1.00	5,956.62
10	ლორის ბალიშის მოწყობა ჰევის ქვეშ	83		57.37	25.00	1,434.35
11	კოლიმეტირების მილის მონტაჟი დ-160 მმ-მდე კორკაგლიკური შემოწმებით PN-20	მ		755.00	300.00	226,500.00
12	კოლიმეტირების მილის მონტაჟი დ-160 მმ-მდე კორკაგლიკური შემოწმებით PN-16	მ		1082.00	52.50	56,805.00
13	ლორის მილის მონტაჟი მარტინის ბაქალირებული იზოლაციით დ-219X6 მმ	მ		6469.00	160.00	1,035,040.00
14	მილის იზოლაცია ფოლადის მილის ბაქალირებით და დამცავი შრის მოწყობა მთლიანად თხრის შერტლით 0,38მ	82		11.40	15.00	171.00
15	მილების ბამორეცხვა დ-200-მმ ქლორინანი წყლით	მ		6469.00	0.10	646.90
16	მილების ბამორეცხვა დ-160-მმ ქლორინანი წყლით	მ		1837.00	0.10	183.70
17	ფოლადის სანთხანალო ლენტის მოწყობა	მ		8306.00	0.10	830.60
18	ურდულის საგრადინო ბეტონის პლკი 0,45*0,35*0,2 28ც	100	83	0.009	14,000.00	125.44
19	ელ. ურდულის DN200 მმ. PN16 შექმნა მონტაჟი	ც		2.00	3,000.00	6,000.00
20	თუჯის ურდულის DN200 მმ. PN16 შექმნა მონტაჟი	ც		15.00	1,500.00	22,500.00
21	თუჯის ურდულის DN150 მმ. PN16 შექმნა მონტაჟი	ც		2.00	950.00	1,900.00
22	თუჯის ურდულის DN50 mm. PN16 შექმნა მონტაჟი	ც		13.00	500.00	6,500.00
23	ანაგრები ტ/ბ ჰის მოწყობა დ=1000მმ სიმაღლით 1.5მ 28ც, თუჯის ხუჭით	კომპლ		28.00	500.00	14,000.00
24	ჰის კედლების იზოლაცია 3 ფენად ცხელი ბიტუმი	82		163.80	4.50	737.10
25	ლორის ბარცმის მილის მონტაჟი დ-426X10 მმ	მ		10.50	150.00	1,575.00
26	ლორის ბარცმის მილის მონტაჟი დ-377X10 მმ	მ		8.00	125.00	1,000.00
27	ხიფე შექმნის მოწყობა ნახაზის მიხედვით	108		2.00	5,000.00	10,000.00
28	დ-219მმ მილისთვის კპ+12.25 და +12.45 ბეტონის საგრადინო მოწყობა ნახაზის მიხედვით	83		8.00	350.00	2,800.00
<b>რ ე ს უ რ ე ს ე ბ ა</b>						
სამაბრი დეტალი						
29	ორმხრივი მოქმედების ვანტუნი დ=50მმ მონტაჟი	კომპლ		2.01	2,000.00	4,020.00
30	კოლიმეტირების მუხლი დ-160	10	ც	1.70	350.00	595.00
31	კოლიმეტირების სამკაპი დ-160X63X160	10	ც	2.00	350.00	700.00
32	კოლიმეტირების სამკაპი დ-160X160X160	10	ც	0.20	350.00	70.00
33	კოლიმეტირების მილტუჩა აკაპტორის მონტაჟი დ-150	ც		4.00	35.00	140.00
34	კოლიმეტირების მილტუჩა აკაპტორის მონტაჟი დ-50	ც		2.00	35.00	70.00
35	ფოლადის მუხლი დ-219	10	ც	6.70	50.00	335.00
36	ფოლადის სამკაპი დ-200/200	10	ც	1.30	50.00	65.00
37	ფოლადის სამკაპი დ-200/50	10	ც	1.1	50.00	55.00
<b>6 კორპუსის ბამორეცხვებიანება</b>						
38	კოლიმეტირების მილის მონტაჟი დ-110 მმ-მდე კორკაგლიკური შემოწმებით PN-12.5	მ		67.00	20.00	1,340.00
39	კოლიმეტირების მილის მონტაჟი დ-63 მმ-მდე კორკაგლიკური შემოწმებით PN-12.5	მ		279.00	10.00	2,790.00
40	კოლიმეტირების მილის მონტაჟი დ-50 მმ-მდე კორკაგლიკური შემოწმებით PN-12.5	მ		130.00	8.00	1,040.00
41	მილების ბამორეცხვა დ-110-მმ ქლორინანი წყლით	მ		67.00	0.10	6.70
42	მილების ბამორეცხვა დ-63-მმ ქლორინანი წყლით	მ		279.00	0.10	27.90
43	მილების ბამორეცხვა დ-50-მმ-მდე ქლორინანი წყლით	მ		130.00	0.10	13.00
44	ფოლადის სანთხანალო ლენტის მოწყობა	მ		476.00	1.00	476.00
45	ლორის ბარცმის მილის მონტაჟი დ-273X5 მმ	მ		3.00	70.00	210.00
46	ანაგრები ტ/ბ ჰის მოწყობა დ=1500მმ სიმაღლით 1.5მ. 11ც, თუჯის ხუჭით	კომპლ		11.00	1,000.00	11,000.00
47	ანაგრები ტ/ბ ჰის მოწყობა დ=1000მმ სიმაღლით 1.5მ 8ც, თუჯის ხუჭით	კომპლ		8.00	500.00	4,000.00
48	ჰის კედლების იზოლაცია 3 ფენად ცხელი ბიტუმი	82		110.04	4.50	495.18

49	თუჯის ურდულის DN100 mm. PN16 შექმნა მონტაჟი	ც	3.00	800.00	2,400.00
50	თუჯის ურდულის DN65 mm. PN16 შექმნა მონტაჟი	ც	13.00	750.00	9,750.00
51	თუჯის ურდულის DN50 mm. PN16 შექმნა მონტაჟი	ც	15.00	500.00	7,500.00
52	კოლიმეთილენის მილტუბა ადაპტორის მონტაჟი დ-100	ც	6.00	35.00	210.00
53	კოლიმეთილენის მილტუბა ადაპტორის მონტაჟი დ-65	ც	26.00	35.00	910.00
54	მილტუბა ადაპტორის მონტაჟი დ-50	ც	30.00	35.00	1,050.00
55	კოლიმეთილენის სამკაპი დ-110X110X110	10 ც	0.10	350.00	35.00
56	კოლიმეთილენის სამკაპი დ-110X63X110	10 ც	0.30	350.00	105.00
57	კოლიმეთილენის სამკაპი დ-63X63X63	10 ც	0.10	350.00	35.00
58	კოლიმეთილენის სამკაპი დ-63X50X63	10 ც	1.00	350.00	350.00
59	კოლიმეთილენის ბადამყვანი დ-110X63	ც	1.00	35.00	35.00
60	კოლიმეთილენის ბადამყვანი დ-63X50	ც	7.00	35.00	245.00
61	ურდულის საყრდენი ბეტონის ბლოკი 0,45*0,35*0,2 30ც	100 83	0.01	40,000.00	384.00
62	წყალმცურავი (AMR ბადამყვანი) კვანძის მოწყობა დ-15 ნახ. მიხედვით	კვანძი	244.00	230.00	56,120.00
63	კოლიპროპილენის მილის მონტაჟი დ-63 მმ-მდე ჰიდრაგლიკური შემოწმებით ფეხსა სპირტო შიტირებით	მ	18.00	12.50	225.00
64	კოლიპროპილენის მილის მონტაჟი დ-50 მმ-მდე ჰიდრაგლიკური შემოწმებით ფეხსა სპირტო შიტირებით	მ	105.00	9.50	997.50
65	კოლიპროპილენის მილის მონტაჟი დ-40 მმ-მდე ჰიდრაგლიკური შემოწმებით ფეხსა სპირტო შიტირებით	მ	57.00	8.30	473.10
66	კოლიპროპილენის მილის მონტაჟი დ-32 მმ-მდე ჰიდრაგლიკური შემოწმებით ფეხსა სპირტო შიტირებით	მ	87.00	6.80	591.60
67	კოლიპროპილენის მილის მონტაჟი დ-20 მმ-მდე ჰიდრაგლიკური შემოწმებით ფეხსა სპირტო შიტირებით	მ	5368.00	4.50	24,156.00
68	წინების რეგულატორის ზის მშენებლობა (1 ცალი)				0.00
69	მონტაჟი არხის უბლი ბრუნვით	83	3.30	10.00	33.00
70	ლორის ბალიშის მოწყობა სპირტო კამერის მონტაჟისთვის	83	1.80	22.00	39.60
71	ბეტონის მონტაჟის ფეხსა სპირტო შიტირებით	100 83	0.01	20,000.00	120.00
72	რ/ბ მონტაჟის წინების რეგულატორის ზის კონსტრუქციების მოწყობა ნახ. სპირტო შიტირებით მიხედვით ბ-25	100 83	0.07	20,000.00	1,300.00
	რ ე ს უ რ ს ე ე ბ ი				0.00
	არმატურა ა-III კლასის	ტ	0.39	1,800.00	696.60
73	წინების რეგულატორის ზის იზოლაციის რეგულაციის მასალა 2 ფენა	82	22.50	15.00	337.50
74	თუჯის ოთხკუთხედიანი ლუბის მოწყობა ზედა 1000X1000 იხ. პროექტ.	კომპლ	1.00	1,500.00	1,500.00
75	წინების რეგულატორი დ-63მმ შექმნა მონტაჟი	კომპ	1.00	1,500.00	1,500.00
76	თუჯის ურდულის DN65 mm. PN16 შექმნა მონტაჟი	ც	2.00	750.00	1,500.00
77	კოლიმეთილენის მილტუბა ადაპტორის მონტაჟი დ-65	ც	2.00	35.00	70.00
78	ორმხრივი მოძვლადი მანტუხი დ-25მმ მონტაჟი	კომპლ	1.00	300.00	300.00
79	კოლიმეთილენის სამკაპი დ-63X63X63	10 ც	0.10	350.00	35.00
80	ურდულის საყრდენი ბეტონის ბლოკი 0,45*0,35*0,2 2ც	100 83	0.00	25,000.00	16.00
81	თუჯის მილტუბა DN65 mm. PN16 შექმნა მონტაჟი	ც	1.00	450.00	450.00
82	სადამონტაჟო მუხრი DN65 mm. PN16 შექმნა მონტაჟი	ც	1.00	35.00	35.00
83	მენტლი DN25 mm. PN16 შექმნა მონტაჟი	ც	1.00	20.00	20.00
84	ბადამყვანი 32/1" შექმნა მონტაჟი	ც	1.00	35.00	35.00
85	კოლიმეთილენის ელ.მუხრი მუხრი OD32 შექმნა მონტაჟი	ც	1.00	11.00	11.00
	ჯამი				<b>1,604,144.69</b>
	წინების რეგულაციის ხარჯები	10%			160,414.47
	ჯამი				<b>1,764,559.16</b>
	გეგმიური დაბრუნება	8%			141,164.73
	ჯამი				<b>1,905,723.89</b>

შპს „ლ და კ“ დირექტორი კობა ლომიძე



**დაბა ხარაგაულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის მოწყობის სამუშაოების პროექტი**  
**რეზიუმე-შარის მოწყობა**  
**ხარჯთაღრიცხვა №2**

№	სამუშაოს დასახელება	ბანხ. მრთ.	რაოდენობა	ჯამი	
				მრთ.ჯამი	ჯამი
1	2	3	4	5	6
	თავი I				
	რეზიუმე-შარი 2X400მ3				
1	ნებისმიერი ტიპის ბრუნვითი, ნებისმიერ სიღრმეზე, თხრილების და მზაპლუმების გათხრა და გამკვრივება, ასევე ბრუნვითი ხელით დამუშავება და პროფილში ნიშნულების მოყვანა, საჭიროების შემთხვევაში გაბაზრება და ბრუნვითი წყალის მოშორება	83	2204.400	8.50	18,737.40
2	რეზიუმე-შარის მოზონდება არსებული ბრუნვითი	83	200.000	10.00	2,000.00
3	ბრუნვითი უკმარისობა ხელით დატკეპნით	83	20.400	10.00	204.00
4	ზედმეტი ბრუნვითი დატვირთვა და გატანა ტერიტორიიდან, შემკვრივებულ მოცულობით	83	1984.000	10.00	19,840.00
5	ლორღის ბალიშის მოწყობა რეზიუმე-შარის უზენადად	83	52.000	22.00	1,144.00
6	ბეტონის მოსამზადებელი ფილა 3-7,5	100 83	0.240	22,000.00	5,280.00
7	რ/ზ მონოლითური რეზიუმე-შარის კონსტრუქციების მოწყობა ნახ. სპეციფიკაციის მიხედვით (კ25)	100 83	3.582	32,000.00	114,617.60
	რ ე ს უ რ ს ე ბ ი				0.00
	არმატურა ა-I კლასის	ტ	0.670	1,800.00	1,206.00
	არმატურა ა-III კლასის	ტ	39.368	1,800.00	70,863.12
8	ანკერების მონტაჟი	ტ	0.036	1,800.00	64.80
9	რეზიუმე-შარის იზოლაცია რულონური მასალით 2 ფენა	82	320.000	15.00	4,800.00
10	თუჯის ოთხკუთხა უპანაბრი ლუქის მოწყობა 1000X1000 მმ. პროექტ. სპეციფიკაციის საშუალებით მიღით	კომპლ	1.000	650.00	650.00
11	რეზიუმე-შარის ბატი კაბელების იზოლაცია 3 ფენაზე ცხელი ბიტუმი	82	290.000	5.50	1,595.00
12	ლორღის უპანაბრი კიბის მოწყობა 2ც. 4 მ.	ტ	0.080	10,000.00	800.00
13	ლორღის ძარხნული ბატი ანტიკოროზიული დაფარვით მიღის მონტაჟი 4-219X4 მმ-მდე ჰიდრაგლიკური შემოწმებით	მ	15.000	143.00	2,145.00
14	ლორღის ძარხნული ბატი ანტიკოროზიული დაფარვით მიღის მონტაჟი 4-108X4 მმ-მდე ჰიდრაგლიკური შემოწმებით	მ	3.000	30.00	90.00
15	პოლიეთილენის მიღის მონტაჟი 4-200 მმ-მდე ჰიდრაგლიკური შემოწმებით PN-12.5	მ	162.000	50.00	8,100.00
16	პოლიეთილენის მიღის მონტაჟი 4-160 მმ-მდე ჰიდრაგლიკური შემოწმებით PN-10	მ	70.000	30.00	2,100.00
17	პოლიეთილენის მიღის მონტაჟი 4-110 მმ-მდე ჰიდრაგლიკური შემოწმებით PN-10	მ	5.000	20.00	100.00
18	პოლიეთილენის გოფირებული საკანალიზაციო მიღის მონტაჟი D-200 SN8, გამოცდა ჰერმეტიკობაზე ფასონური ნაწილების კომპლექტით	1 კმ.	0.100	25,000.00	2,500.00
	საშობერო კამერის მონტაჟი				0.00
